ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37213651**
თარიღი:**31/12/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფა განხორციელდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს -70 (სამოცდათი) ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს - 40 (ორმოცი) ლარი;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს - 40 (ორმოცი) ლარი;

დ) საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ე) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ვ) საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარის მოადგილეებს - 20 (ოცი) ლარი;

ზ) საკრებულოს აპარატის უფროსს - 35 (ოცდათხუთმეტი)ლარი;

თ) საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილეს - 30(ოცდათი) ლარი;

ი) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს - 20 (ოცი) ლარი;

კ) განყოფილების უფროსებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ლ) უფროს სპეციალისტებს - 20 (ოცი) ლარი;

მ) უმცროს სპეციალისტებს - 20 (ოცი) ლარი;

ნ) მდივანს - 20 (ოცი) ლარი;

ო) მძღოლს - 20 (ოცი) ლარი.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (გ. ჩავლეშვილს).

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 31 დეკემბრის N№37.37203661 ბრძანება.

4. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.#14).

6. ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი